№ 2703
კვირა,
19 დეკემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2703
კვირა,
19 დეკემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ი. გალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.

მ. ზ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.

ლ. ი. კიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ. და ხუთშაბათ.

ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა, (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით. 1—2 საათამდე.

ვ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა—2—3 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

გრ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკეობით 1—2 საათამდე.

საღამოთი:

გ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველ დღე გარდა კვირისა.—5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს სამი მან. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი!.

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი

იღებს ყოველ გვარ კბილის სნეულებით ავადმყოფებს: სწამლობს კბილებს, უკეთებს პლომბებს და უსხამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 საათ. მიხეილის პროსპექტი, № 30. მანველოვის სახლში. (30—399—14)

ექიმი
ა. ნ. თეთრაძე

სუდებნაია, სახლი № 24. აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—636—24)

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი

მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.

ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. კომერციულ ბანკის სახლი. (60—403—5)

ექიმი
პ. ა. არდაზიანი

მიიღებს ბავშვების და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე 12—1. და საღამოთი 6—8 საათამდე. ელისაბედისქუჩა, № 160. (თვ.—4)

ექიმი
გ. ა. გედალინი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, გენერიულის კანის და საშარდის, ყოველ დღე საღამოს 5—8 საათამდე.

გადავიდა მადათოვის ქ., ალექსანდროვის სამლოცველოს პირდაპირ. სახლი მარტიროსიანცის № 15. (30—4)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

იღებს სიფილისით და ვენერიულ სენით ავადმყოფებს. დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—25)

ექიმი
ი. ა. გოკიელოვი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 149. საკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი
ი. ე. გამბურგერი

გრიბოედოვის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალო-სადიოგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარდისა და სხვ. (30—365—26)

ტფილისის ტრამვაის უსახელო საზოგადოება
საზოგადოების საყურადღებოდ

რადგან ელექტრონით მოძრაობა გაიმართა, ტფილისის ტრამვაის უსახელო საზოგადოების დირექცია პატივის ცემით აუწყებს საზოგადოებას, რომ ამას იქით ვაგონების მოძრაობა უფრო ჩქარი იქმნება და უბედურების ასაცდენად საჭიროა:

1) ელექტრონის ვაგონის მოახლოვების დროს, განსაკუთრებით ვიწრო ქუჩებში, ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე არ გადავიდეს ვინმე.
2) ვაგონის მოძრაობის დროს არავინ არ ჩამოვიდეს და არც ავიდეს; ასვლა-ჩამოსვლა შეიძლება მხოლოდ იქ, სადაც გასაჩერებელი ნიშნად ბოძებია დადგმული და ისიც მარჯვენა მხრიდან.
3) ლიანდაგებს შუა ვაგონში შესვლა და იქიდან გამოსვლა სასტიკად აკრძალულია.
4) ვაგონის მოძრაობის დროს ადგილის გამოცვლა არ შეიძლება.
5) საფეხურებზე დგომა არ შეიძლება.
6) ვატმანთან (ვაგონის დამტარებელთან) ლაპარაკი სასტიკად აკრძალულია.
7) ვაგონის რომელისამე სამექანიკო ან საელექტრონო ნაწილის ხელის შეხება არ შეიძლება.
8) ვაგონიდან ჩამოსვლის შემდეგ ლიანდაგზე არ გადავიდეს ვინმე, სანამ არ დარწმუნდეს, რომ მეორე მომავალი ვაგონი იმისთვის საშიში არ არის, რადგან მიმავალი ვაგონი უშლის მომავალის დანახვას.
9) განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მიაქციოთ ზარს, რომელსაც მხოლოდ მოძრაობის დროს რეკვენ, ამისათვის უნდა გზიდან გადადგეთ.
10) ვაგონის მოსამსახურეებთან არავითარი დავა არ უნდა ასტეხოს ვინმე; ვისაც-კი რაიმე უკმაყოფილება ექნება—დირექციას გამოუცხადოს.

თუ ყველა ამას არ აასრულებენ—ტრამვაის საზოგადოება პასუხის მგებელი არ იქმნება. (3—2)

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი **„ცნობის ფურცელი"** წელიწადი მეათე
სურათებიანი დამატებით.

კავკასიაში და რუსეთში ერთის წლით **6** მან.
ფასი გაზეთისა გაგზავნით
წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენიც პირველ მარტამდე.
საზღვარ გარედ ერთის წლით **9** მან.

ყოველ თვიური ჟურნალი **„მოამბე"** წელიწადი მეთორმეტე

კავკასიაში და რუსეთში 1 წლით **10** მან. ცალკე №—1 მან.
ფასი ჟურნალისა გაგზავნით
ვინც „მოამბე"-ს მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი"
საზღვარ გარედ ერთის წლით **13** მან. ცალკე №—1 მ. 20 კ.

◆ უფასოდ გაიგზავნება ◆

მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.

(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)

როგორც „ცნობის ფურცლის", ისე „მოამბის" მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის

დონ-კიხოტი

დორეს სურათებით.

ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ და შედარებულია ჟიარდოს ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით.

ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (300 სურათით) პრემიად დარიგებულ ყაზბეგის ნაწერების ფორმატისას

1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.

ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრეთვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით. პრემიის გასაგზავნად ტფილისს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კ. წლიურ ფასის გარდა.

გარდა ამისა „მოამბის" წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ

მასალები საქართველოს ისტორიისათვის

ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.

ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოამბის" ფორმატისას.

რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქართ. ამხ. სახლში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе"-„Цнобисъ Пурцели".

---

20 ამა დეკემბერს საარტისტო „საზოგადოების" საკონცერტო დარბაზში გაიმართება „წერა-კითხვის საზოგადოების" სასარგებლოდ

კონცერტი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი გასკი, ბ-ნნი ვილშაუ, მესხი კ. ს., მესხიშვილი ა. ი., პოლივკა, რჩეულიშვილი, ტომასევიჩი, ჯაფარიძე და ქართული ხორო და ორკესტრი ბ. ზ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით.

კონცერტის შემდეგ ქართული და ევროპიული ცეკვა.

ბილეთები იყიდება „წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში. (სასახლის ქუჩა, თ.-აზნაურობის ქარვასლა). (5—უ.—4)

ქართული წარმოდგენა—ვეტცელის თეატრში.
(მიხეილის პროსპექტი)

კვირას, 19 დეკემბერს ქართულის დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

პეპო

კომედია 5 მოქმ., გ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქბ-ნნი გაბუნია-ცაგარელი, ლეჟავა, ჯავახიშვილი, ნებიერიძე და სხვ., ბ-ნნი ვ. აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, ივანიძე, შალიკაშვილი, იორდანაშვილი, ქეიძე და სხვანი.

ადგილების ფასი: 1 რიგი—1 მან. 50 კ., 2, 3—1 მან. 25 კ., 4, 5 და 6—1 მან., 7, 8—80 კ., 9, 10—70 კ., 11, 12—60 კ., 13, 14 და 15—50 კ. ბალკონზე ფეხზე დგომა—30 კაპ.

დასაწყისი 8½ საათზე.

ადმინისტრაცია ამხანაგობისა. მორიგი რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.

კვირას, 19 დეკემბერს 1904 წელს

წარმოდგენილი იქნება: **„რ უ ს ა ლ კ ა"** ოპერა 4 მოქმ. მუსიკა დარგომიჟსკისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ვიკშემსკაია, ნიკიტსკაია, შიხუტსკაია, ფერრი; ბ-ნნი: ბოგადანოვიჩი, გალეცკი, ხალინსკი, ბაგროვი, მურატოვი.

კაპელმეისტერი ეიხენვალდი. ფასები დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

20 დეკემ.—„რომეო და ჯულიეტა". გამგე ი. ა. კელლერი.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

კოროლენკოვის ქ., № 16. საკუთ. სახ., ტელ. 792.

კბილის ექიმი
ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათამდე და 5—7-მდე. კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. სახლი მდივნისა № 12. „კრუჟოკის" გვერდით. (30—6.—5)

სამხედრო საისტორიო მუზეუმი

სურათების გამოფენა

კავკასიის მხატვრობის მფარველ საზოგადოებისა. შესვლის ფასი 30 კაპ. კატალოგით. ბავშვებისა და სალდათებისათვის 15 კაპ. (4—396—3)

დიდი პანორამა აკვარელი

გალერეია უცხო-ქვეყნელ მხატვართა სურათებისა გაიხსნა დღეს და ღია იქნება ყოველ დღე დილის 10 საათიდან, სახლი მირიმანოვისა, სამხედრო ტაძრის პირდაპირ, „ორიანტ"-ის სასტუმროსთან, გოლოვინის პროსპექტზე. შესანიშნავი სანახაობაა. შესასვლელი ფასი 30 კაპ. (1—421—1)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან".

17 დეკემბერი

მოსკოვი, 17 დეკემბერი. ქალაქის გამგეობამ დაადგინა მოაწყოს ხის სამზარეულოები იმ რკინის გზებზე, რომლებითაც სათადარიგო ჯარის კაცებს ჰგზავნიან, რათა მიაწოდონ გზაში ცხელი საჭმელი.

ბერლინი, 16 დეკემბერი („ვოლფი"). პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება, რომ მოლაპარაკებას რუსეთის ახალ სესხის შესახებ საბოლოო შედეგი მოჰყვა: ოთხ-პროცენტიან სესხის—500 მილიონ მარკისა ან 231 მილიონ მანეთის გამოცემა იკისრეს—ბერლინის ბანკების სინდიკატმა, პეტერბურგის ხუთმა ბანკმა, ერთმა მოსკოვისამ და ერთმა ამსტერდამისამ.

18 დეკემბერი

ტოკიო, 17 დეკემბერი („რეიტერი"). ადმირალები ტოგო და კამიმურა თავიანთ შტაბებით დილის ცხრა საათზედ მოვიდნენ. ქუჩები გაჭედილია ხალხით. სადგურზე ადმირალებს მიეგებნენ მიკადოს წარმომადგენელი, უმაღლესი მოხელენი, მინისტრები, მოსწავლენი. სადგურიდან ადმირალები მიკადოს მიერ გამოგზავნილ ეტლით საზღვაო სამინისტროში წავიდნენ. ხალხმა „ბანზაის" ძახილით გააცილა. რამდენიმე ხნის შემდეგ ორივე ადმირალი სასახლეში წავიდა მიკადოსთვის მოხსენების წარსადგენად. მოხსენება საზღვაო ბრძოლის მსვლელობას შეეხება.

იაპონიის ის ჯარი, რომელიც პორტ-არტურს არტყია, იუწყება, რომ ერლუნგშანის აღების შემდეგ რუსთა პატარა რაზმი განაგრძობდა წინააღმდეგობას ერთ ვიწრო გასავალში. დილის სამ საათზე იაპონელებმა ამ რაზმსაც სძლიეს. ფორტის დამცველთა უმრავლესობა მოკლულ იქმნა.

ლონდონი, 17 დეკემბერი („რეიტერი"). იაპონიის საელჩომ გამოაქვეყნა შემდეგი დეპეშა ტოკიოდან: „იაპონელთა ჯარიდან იუწყებიან, რომ იაპონელების მიერ ერლუნგშანის აღება სრულიად დამთავრდა და უზრუნველ-ყოფილ იქმნა 14 დეკემბერს ღამეო".

ზაქათალა, 17 დეკემბერი. მომქმედ არმიის ერთ სატრანსპორტო რაზმის უფროსს კაპიტან მანსვეტოვს ზაქათალელებმა გაუგზავნეს ტყავები, ფაფახები, ფუფაის პერანგები და თბილი წინდები.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან".

17 დეკემბერი.

ჩიფუ, 17 დეკემბერი. საღამოს 4 საათი და 57 წუთი. ჩინელთა ცნობით, 12 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, იაპონელებმა იერიში მიიტანეს რუსის პოზიციებზე ჩინძიანტუნს, სადაც რუსებს მხოლოდ 500 სალდათი ჰყავდათ. იაპონელები ათი-ათას კაცამდე იყვნენ. იერიშმა მთელი ღამე გასტანა. 14 დეკემბერს დილით იაპონელებმა ხელ-ახლად მიიტანეს იერიში, რომელმაც მთელი დღე და ღამე გასტანა, 15 დეკემბრის დილამდის. 17 დეკემბერს იაპონელებმა რამდენიმე როტა გაგზავნეს რუსის პოზიციის შემოსავლელად. ამის გამო რუსებმა ღამე დაიწიეს ჩინძიანტაუსკენ. იაპონელები მისივნენ ჩინძიანტაუს, მაგრამ რუსებმა სეტყვასავით დააყარეს ტყვიები, ტყვიისმტყორცნელებით და თოფებით, ააფეთქეს ნაღმები; იაპონელებმა უკან დაიწიეს და აღარ გამოლაშქრებულან ამ პოზიციის წინააღმდეგ. შინძიანტუნის შტურმის დროს იაპონელებმა ყუმბარები დაუშინეს ლიაოტეშანსა და ქალაქს აღმოსავლეთის ფრონტიდან. პოზიციის დაცვის დროს რუსებმა 200-მდე კაცი დაჰკარგეს. იაპონელებმა დაჰკარგეს 5 ათასი კაცი. ჩინელები ამტკიცებენ, შტურმის დროს ერთი იაპონელი გენერალი მოჰკლესო.

ტოკიო, 17 დეკემბერი. როცა 15 დეკემბერს ღამე იაპონელებმა ერლუნგშანის სიმაგრე დაიჭირეს, რუსეთის მცირე რაზმმა თვით სიმაგრეში მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მტრებს და 16 დეკემბრის დილის 3 საათამდის იბრძოდა. ციხის დამცველთა უმეტესი ნაწილი ამოსწყვიტეს.

ღამის დეპეშები იხილე ცალკე ფურცელზე

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. გაზ. „მატენ"-ი იუწყება: რუსეთი ეხლა 300 ათას კაცს იწვევს თოფ ქვეშ; ამათგან მხოლოდ ორ საარმიო კორპუსს გაჰგზავნის საომრად მანჯურიაში, დანარჩენი ჯარი რუსეთში დარჩებაო. („პ. გაზ.").

„ეკო დე პარი"-ს პეტერბურგელ კორესპონდენტს შეუტყვია, რუსეთს ომზე თვეში 60 მილიონი მანეთი ეხარჯებაო; საფრანგეთის სამხედრო ხარჯებს სესხის გამოცემით უპირობენ გასტუმრებას. ამ სესხს, ალბად, საფრანგეთში გამოსცემენ მომავალ წლის დამდეგზე არა ადრე. („ნ.").

„ნიუ-იორკ ტაიმს"-ი იუწყება: მოლაპარაკება გამართეს, რომ რუსეთის მომავალ სესხის ნაწილი, 35 მილიონი დოლარი, ნიუ-იორკში გამოიცესო. („ნ. დ.").

ერთ წარჩინებულ სახელმწიფო მოღვაწე რუსს უთქვამს „კელნიშე ცაიტუნგ"-ის კორესპონდენტისათვის: ტყუილად ჰგონიათ, რომ წყნარ ოკეანეს მეორე ესკადრა პორტ-არტურში წავაო. მეორე ესკადრა ვლადივოსტოკს მივა და იქ მოიცდის; მაისში მესამე ესკადრაც მივა ვლადივოსტოკს, ორივე ესკადრა ერთად იმოქმედებს და ორის მხრიდან დაეცემიან იაპონიის ფლოტს. ისიკი მართალია, რომ გვეშინიან, ვაი თუ იაპონელები წინ გაგზავნილ ქვა-ნახშირის მზიდველ გემებს დაეცნენ და ჩასძირონ. ეჭვი არაა, თებერვალში გენ. კუროპატკინი მედგრად გაილაშქრებს წინა. უმაღლეს რუსის წრეებს გადაწყვეტილი აქვთ ბოლომდე იომონ, სანამ არ გაიმარჯვებენ, რაც უნდა დიდი მსხვერპლი მოითხოვოს ამ გამარჯვებამ. („ს.").

ნამესტნიკ ალექსეევის სამხედრო შტაბის უფროსად ნამყოფს გენ.-ლეიტენანტ ჟილინსკის უთქვამს „მატენ"-ის კორესპონდენტისათვის: როცა მანჯურიიდან მოვდიოდი, გენ. კუროპატკინმა მითხრა, რამწამს საკმაო ჯარი მომივა, წინ გავილაშქრებო. ამ ჟამად გენ. კუროპატკინს 400 ათასი კაცი ჰყავს. ზარალი სულ შეივსო და იაპონელებზე მეტი ჯარი ჰყავს. მაგრამ დიდ ყინვაში გალაშქრება შეუძლებელია. ამბობენ, რუსებს ყინვისა არ ეშინიანთო. ეს მართალია, თუ ყინვა 10 გრადუსს არ აღემატება, მაგრამ 20 გრადუს სიცივეში სალდათებს თოფის გასროლაც არ შეუძლიანთ. იანვრის ნახევარში რუსის არმია წინ გაილაშქრებს, რადგან მაშინ გენ. კუროპატკინს იმდენი ჯარი ეყოლება, რომ მტერს გვერდიდანაც მოუვლის, უამისოდ-კი გამარჯვება შეუძლებელია. პორტ-არტური ჯერ კიდევ დიდხანს

გასძლებს: გენ. სტესელს 25 ათასი სალდათი ჰყავს, მეზღვაურებიც რომ ვიანგარიშოთ. იანვარში ადმ. როჟესტვენსკიც ჩავა შორეულ აღმოსავლეთის ზღვაში და იაპონიის ფლოტს დაამარცხებს. ასე იქნება თუ ისე, რუსეთი უსათუოდ გაიმარჯვებსო. („ნ. დ.“).

რუსის ჯავშნიანი გემი „სევასტოპოლი“. როგორც ვიცით, ადმ. ტოგო სწერდა, ჩვენ დავინახეთ, რომ „სევასტოპოლი“ დაზიანებულია და, მგონია, ბრძოლისთვის აღარ გამოდგებაო. ამის თაობაზე უცხოეთის გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: აქ დიდ მნიშვნელობას აძლევენ ადმ. ტოგოს საკუთარ დაკვირვებას. იგონებენ, რომ როცა „პეტროპავლოვსკი“ დაიღუპა, ადმ. ტოგოს თითქმის პირველს შეენიშნა ნაღმის აფეთქება და წინადვე გამოეცნო, გემი დაიღუპებაო. („ნ. დ.“).

წყნარ ოკეანეს მესამე ესკადრა. „რუს“-ს ატყობინებენ კრონშტადტიდან, მესამე ესკადრაში შემდეგი გემები ჩაირიცხებაო: ჯავშნიანი გემები: „ადმირალ სინიავინი“, „გენერალ-ადმირალ აპრაქსინი“, „ადმირალი უშაკოვი“, „იმპერატორ ნიკოლაი I“, კრეისერი „ადმირალ კორნილოვი“‘ ნაღმიანი და ქვა-ნახშირის მზიდავი გემები. მესამე ესკადრის მეორე რაზმს შეადგენენ: საუკეთესო მებრძოლი და საუკეთესოდ შეიარაღებული საესკადრო ჯავშნიანი გემი „სლავა“, საესკადრო ჯავშნიანი გემი „ალექსანდრე II“, კრეისერი „პამიატ აზოვა“, ქვანახშირის მზიდავი გემები და დიდძალი ყველა ტიპის ნაღმიანი გემი. კრონშტადტსა და ყველა სხვა პორტში განუწყვეტელი მუშაობაა დღე და ღამ და ყველა პორტის უბრალო მუშიდან დაწყებული უმთავრეს უფროსამდე მეტად მხნედ მუშაობენ, რომ ესკადრა მალე მიაშველონ ადმ. როჟესტვენსკის. ვიცე ადმირალ ბირილევს უთქვამს, ესკადრა უსათუოდ იანვარში იქნება მზადაო. („რ.“).

203 მეტრიანი გორა. გენერალმა კუროპატკინა 8 დეკემბერს მოახსენა ხელმწიფეს, ჩინელებმა ამბავი მოიტანეს, პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარმა უკან დაიბრუნა 203 მეტრიანი გორაო. ბევრმა დაიჯერა ეს ცნობა, მაგრამ მიუდგომელმა სამხედრო მიმომხილველმა ეჭვის თვალით შეჰხედა ამ ცნობას. „ნოვოსტი დნია“-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი პ. დ. კ. სწერს: „გენ. კუროპატკინის მოხსენებაში 8 დეკემბერს ეწერა, პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარმა ისევ უკან დაიბრუნა „ვისოკაია გორაო“ (მიმომხილველის აზრით, ვისოკაია გორა და 203 მეტრიანი გორა ერთი და იგივე ადგილია). ეს მეტად მნიშვნელოვანი ამბავი იქნებოდა, მოხსენებაში რომ არ ეწეროს, თუ ვისგანაა მიღებული ეს ცნობა. ეტყობა, რუსის მთავარ-სარდალს თითონაც არა სჯერა რუსის ჯარის გამარჯვება და იმიტომ იხსენიებს, ვისგან მიიღო ეს ცნობა. ეს ადვილი გასაგებიცაა. ჩინელებს ბევრჯელ მოუტანიათ სენსაციონური ცნობები და ყველა ეს ცნობა, თითო-ოროლას გარდა, მუდამ ტყუილი გამოდგარა. მოიგონეთ, ლიაოიანის აღების შემდეგ ჩინელები ბეჯითად ირწმუნებოდნენ, იაპონელებმა საერთო შტურმი მიიტანეს პორტ-არტურზე, დიდი ზარალი მოუვიდათ და გენ. ნოგიმ ხელი აიღო პორტ-არტურის აღებაზეო. როგორც ვიცით, ეს ცნობა ნამდვილი სიცრუე გამოდგა. არა გვგონია, რუსის მეციხოვნე ჯარს თითქმის ნახევარ თვის შემდეგ ვისოკაია გორაზე იერიშის მიტანა გაებედოს. ამ ხნის განმავლობაში იაპონელები განუწყვეტლივ ბეჯითად ამაგრებდნენ ახლად დაჭერილ პოზიციას. თუ 22 ნოემბერს ღამით, ექვს თავ-განწირულ კონტრ-იერიშის შემდეგ, რუსებმა უსარგებლოდ ჩასთვალეს მეტი ბრძოლა და იცზიჩანისა და ანცზიჩანისაკენ დაიხიეს, ეხლა რაღად მიიტანდნენ იერიშს ძალზე გამაგრებულ პოზიციაზე. განა ეხლა უფრო ძნელი არ იქნებოდა ვისოკაია გორის აღება, მით უმეტეს, რომ იაპონელებმა საკმაოდ კარგად გამოიყენეს ვისოკაია გორის აღება: რუსის ფლოტს ზარბაზანი დაუშინეს და დააზიანეს. ჩვენა გვგონია, რომ გენ. სტესელმა 23 ნოემბერს უსაბუთოდ როდი გაანება თავი ვისოკაია გორას. 5 დეკემბერს იაპონელებმა ჩრდილოეთი კიკვანშანიც აიღეს და რუსის ჯარი ვისოკაია გორისათვის ველარ მოიცლიდა, რადგან გენ. ნოგიმ სულ სხვა მხრიდან მიიტანა შტურმი ციხეზე (ვისოკაია გორა ჩრდილოეთ ფრონტის დასავლეთ მხარესაა, კიკვანშანი იმავ ფრონტის აღმოსავლეთ მხარესაა). რასაკვირველია, რუსის მეციხოვნე ჯარიც ციხის აღმოსავლეთ მხარეს მიაქცევდა უმთავრეს ყურადღებას და თავის ძალას აქეთ-იქით არ გაჰფანტავდა.“

„ომის უმთავრესი ასპარეზი მანჯურიაა და არა წყნარი ოკეანე“. ამ სათაურით „ნოვოსტი დნია“-ს სამხედრო მიმომხლველმა პ. დ. კ—მ საინტერესო წერილი დაბეჭდა. სამხედრო ხალხის უმეტესობა ირწმუნება, ეხლანდელი ომი უმთავრესად საზღვაო ომია და ვინც ზღვაში გაიმარჯვებს, საბოლოო გამარჯვებაც იმისი იქნებაო. ბ-ნი პ. დ. კ. არ ეთანხმება ამ აზრს და ამტკიცებს, რომ ეხლანდელ ომის უმთავრესი ასპარეზი მანჯურიაა და არა წყნარე ოკეანე, ამიტომ ვინც მანჯურიაში გაიმარჯვებს, საბოლოო გამარჯვებაც იმის ხელთ იქნებაო. ბ-ნი პ. დ. კ. სწერს: „წყნარ ოკეანის მეორე ესკადრის გაგზავნის შემდეგ, ბევრსა სწერენ ამ ესკადრის დანიშნულებასა და მომავალ მოქმედებაზე. ავტორები მომეტებულ ნაწილად ეხლავე გამარჯვების იმედს გამოსთქვამენ. არა მგონია, ასეთი იმედი მრისხანე სინამდვილეს შეეფერებოდეს, ეტყობა, ავტორები უფრო გრძნობით ხელმძღვანელობენ და არა დინჯ, დალაგებულ გონებით. ნამდვილად-კი რაც უნდა გაჭირვებულ მდგომარეობაში იყვეთ, თავდაპირველად სწორედ და ყველა მხრივ უნდა ასწონ-დასწონოთ და დააფასოთ თქვენი მდგომარეობა, რადგან მხოლოდ სწორე დაფასება თუ შეგაძლებინებთ გაჭირვებიდან გამოსვლას. მაშასადამე, ყველაფერი სწორე დაფასებაზეა დამოკიდებული. სათქმელად-კი ადვილია! რაღაც მიზეზით ბევრნი ერთ რიგ ფაქტის მნიშვნელობას ამცირებენ, მეორე რიგ ფაქტის მნიშვნელობას მეტად აზვიადებენ. ბოლოს ამ ხალხს ყოველი წარმოდგენა დაეკარგა სინამდვილეზე. გარწმუნებთ, ჩვენში რომ სამართლიანად და რიგზე აფასებდნენ სამხედრო მოქმედების ვითარებას, სამუდამოდ გაჰქრებოდა ის საოცარი აზრები, ვითომ 28 ივლისს პორტ-არტურის ესკადრასთან ბრძოლის დროს ადმირალ ტოგოს დიდი მარცხი მოუვიდაო (?!) და 203 მეტრიან გორის აღება მაინცა და მაინც რა გამარჯვებააო. ამისთანა აზრები თითქმის „ყველაზე გავრცელებულ“ რუსულ გაზეთში („ნოვოე ვრემია“-ში) იბეჭდება და, რაღა თქმა უნდა, ცრუ ვიწრო პატრიოტულ მიმართულების ნაყოფს წარმოადგენს; ასეთი მიმართულება დიდი ხანია დროა სამუდამოთ არქივში ჩავაბაროთ. ყველა ამას იმიტომ ვამბობთ, რომ რუსულ გაზეთებში მეტად იშვიათად შეგვხვედრია სამხედრო მოქმედებისა და მთელის ომის სწორე დაფასება. ყველა წვრიმალ უმნიშვნელო ფაქტს, რუსეთისათვის სასარგებლოს, მეტის მეტად აზვიადებენ, ნამდვილად-კი ამ წვრიმალ ფაქტებს არავითარი გავლენა არა აქვთ ომის საზოგადო მიმდინარეობაზე; ჩვენთვის უმთავრესი მნიშვნელობა ომის საზოგადო მიმდინარეობასა და მეტადრე იმის საბოლოო რეზულტატს (შედეგს) აქვს. ეს საბოლოო რეზულტატი უნდა ჰჩრდილავდეს ყველა შეტაკებას, ბრძოლას, გორას, გაოლიანს და „ნისლიან სივრცეს“. ბევრი საკუთარი კორესპონდენტი-კი ამის მეტს თითქმის არას აქცევს ყურადღებას.

სად გადასწყდება საბოლოოდ ომი? ომის ბედი სამხედრო მოქმედების უმთავრეს ასპარეზზე სწყდება მუდამ. სადაა ეს უმთავრესი ასპარეზი? ომი ზღვაზედაცაა და ხმელეთზეც. უყოყმანოთ, გადაჭრით ვამბობთ, რომ ეხლანდელ ომის უმთავრესი ასპარეზი ხმელეთზეა და თავდაპირველად მანჯურიასა და ლიაოდუნის ნახევარ კუნძულზე. ადვილად შესაძლებელია, რომ მთელი ომი ამ ადგილებში გათავდეს და კორეიაში ბრძოლა არც-კი დასჭირდეს.

ამბობენ, ეგ შემცდარი აზრია, უმთავრესი მნიშვნელობა ზღვასა აქვსო. იაპონიის ფლოტი დაამარცხეთ, გაანადგურეთ, იაპონიის არმიას მაშინ სამშობლოს გზა მოეჭრება და თავის თავად დაიღუპებაო. იაპონიის ფლოტის დასამარცხებლად თანასწორი ფლოტი მაინცაა საჭირო. საზღვაო საქმის მცოდნე კაპიტანი კლადო-კი ირწმუნება, ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა თითქმის ერთი ორად სუსტია ადმ. ტოგოს ესკადრაზეო. ამიტომ ეხლა მესამე ესკადრის გაგზავნასაც აპირობენ, მაგრამ, ამბობენ, ეს ესკადრა მაისზე ადრე ვერ წავა შორეულ აღმოსავლეთსაო. მაშ ადმ. როჟესტვენსკი რას გაარიგებს მანამდე? თავის გზას განაგრძობს, თუ სადმე პორტში მოიცდის. დიდხანს დგომა ნეიტრალურ პორტში შეუძლებელია, ამიტომ ადმ. როჟესტვენსკი მესამე ესკადრას ველარ მოუცდის. მაშ ადვილად მოსალოდნელია, რომ ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა მარტოკა შეჰხვდება ადმ. ტოგოს ძლიერ 'ესკადრას. განა იმედია, ეს ბრძოლა რუსეთის სასარგებლოდ გადასწყდეს?.. მესამე ესკადრასაც ასეთივე ბედი მოელის. იაპონიის ფლოტს სხვა დიდი უპირატესობაცა აქვს: ბრძოლის დროს დაზიანებული გემები ადვილად მივლენ სასებომდე და იაპონიის სხვა ნავთსადგურებამდე, რუსის დაზიანებული გემები-კი ნეიტრალურ პორტებში უნდა მივიდნენ და იარაღი აიყარონ. ასე რომ რუსის ფლოტის გამარჯვება საეჭვოა. მაგრამ გინდ რუსის ფლოტმა გაიმარჯვოს, მაინც იაპონიის მთელ სამხედრო და სავაჭრო ფლოტს (ესე იგი რამდენსამე ას გემს) ვერას დროს ვერ გაანადგურებს და, მაშასადამე, იაპონიის არმიას მანჯურიაში ზღვის გზას ვერ მოუჭრის. ვსთქვათ, რომ რუსის ფლოტმა ზღვაში გზები შეკრა და მანჯურიის ნაპირებს დარაჯობა დაუწყო, განა მაშინ იაპონელები ველარას მიიტანენ ზღვით მანჯურიაში? იაპონიის მთელმა ფლოტმა პორტ-არტურს ალყა შემოარტყა და ბეჯითად ჰდარაჯობდა, მაგრამ ჯონკები და ხანდახან დიდი გემები მაინც არღვევდნენ ბლოკადას და პორტ-არტურში სამხედრო და საკვები სურსათი შეჰქონდათ. პორტ-არტურს სულ 20 ვერსტის მანძილზე ჰდარაჯობს იაპონიის ფლოტი, რუსებს-კი მანჯურიისა და კორეის ნაპირების დარაჯობა რამდენიმე ათას ვერსტის მანძილზე დასჭირდებათ, აქედან ცხადად სჩანს, რომ ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა გინდ გამარჯვებულიც გამოვიდეს, იაპონიის არმიას გზას მაინც ვერ მოუჭრის. გინდ როგორმე მოხდეს და გზა მოუჭრას, რუსის ფლოტი იაპონიის ჯარს მაინც ვერ დაამშევს, რადგან მარშალ ოიამას მთელი ლიაოდუნი და კორეია ხელთ უჭირავს და იქ ყველაფერს იშოვის, რაც ჯარისათვის საჭიროა, ამას გარდა ნუ დავივიწყებთ, რომ მარშალი ოიამა ჩინეთშიაც დიდძალ სურსათს იშოვის...

ომის უმთავრეს ასპარეზად ის ადგილი ითვლება, სადაც მოპირდაპირის უმთავრესი ძალა, იმისი არმია დგას. ეჭვი არაა, ეხლანდელ ომის დროს იაპონიის უმთავრეს ძალას ხმელეთის ჯარი შეადგენს და არა ფლოტი. ფლოტიც დიდ დახმარებას უწევს ხმელეთის ჯარს, მაგრამ მაინც უმთავრესი მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომ სანამ მარშალ ოიამას არმია არ დამარცხდება, არც იაპონია ჩაითვლება დამარცხებულად“. (გაგრძელება იქნება).

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

საფრანგეთი. საფრანგეთის სოციალისტების მეთაურმა შემდეგი წერილი დაბეჭდა თავის გაზეთ „ჰუმანიტე“-ში. „გერმანიის კანცლერმა გრაფმა ბიულოვმა თავისი აზრის დასამტკიცებლად, თითქო საფრანგეთი გერმანიაზე შურის ძიების გრძნობით გამსჭვალული იყოს, ის გარემოება მოიყვანა, რომ მე, ჟორესს, დიდი წინააღდეგობა გამიწიეს ფრანგებმა, რომ ამ შურის ძიების, რევანშის წინააღმდეგ გამოვილაშქრე. გრაფი ბიულოვი ძლიერ შემცდარი ბრძანდება. უბედებისა და თავხედ ფრანგების მცირე ჯგუფის გარდა, მთელი საფრანგეთი მშვიდობის მონატრულია, საფრანგეთს არა მარტო გერმანიასთან, არამედ ყველა სხვა სახელმწიფოებთან მშვიდობიანი დამოკიდებულება ენატრება, საფრანგეთის მთავრობა ან პარლამენტი გერმანიაზე შურის ძიების გრძნობით რომ იყოს გამსჭვალული, საზოგადოება მძლავრ პროტესტს გამოუცხადებდა და მალე გადააყენებდა. ნაციონალისტები იმიტომ არიან საფრანგეთისათვის საშიშარნი, რომ სურთ ომი ასტეხონ და ომის მეოხებით თავისი გულის წადილი, დემოკრატიის წარმატების დაბრკოლება, განახორციელონ. გერმანიასა და საფრანგეთს ერთნაირად სწყურიათ მშვიდობიანობა და ამიტომ გულ-წრფელ თანხმობის პოლიტიკას უნდა დაადგნენ. ევროპაში შეიძლება კეთილი შედეგი მოჰყვეს პროპაგანდას იარაღის აყრისა და სოციალურ რეფორმების შესახებ“.

დასასრულ ჟორესი ამტკიცებს, საფრანგეთს და გერმანიას შორის შფოთის ჩამომგდები, საფრანგეთის დაკარგულ ელზას—ლორენი უნდა განცალკევებულ იქნას, ცალკე სახელმწიფო უნდა შეადგინოს, და არა გერმანიისა ან საფრანგეთის საკუთრებასაო. (ნოვ.).

ინგლისი. ინგლისის ლიბერალურ ოპოზიციის მეთაურმა კემპბელ-ბანერმანმა სიტყვა წარმოსთქვა ლიამპოუზის კრებაზე კოლონიების მინისტრის ჩემბერლენის წინააღმდეგ. „ჩემბერლენს, სთქვა ორატორმა, ინგლისის მისიონერად მოაქვს თავი. მე კი მგონია, რომ იმათ პოლიტიკას, კინც ხშირად ახსენებს, ქვეყნის მეკობრეები ვართო, სულ სხვა რამ უდევს სარჩულად. ჩემბერლენს არა აქვს უფლება ინგლისის იმპერიის სახელით ილაპარაკოს. ავტონომიურ კოლონიებსაც არ მიუციათ მისთვის უფლება იმათ მაგიერ ილაპარაკოს. ჩემბერლენს შეუძლია მხოლოდ თავისი და ტარიფის კომისიის წევრების სახელით ილაპარაკოს, დაიცვას იმ პირთა ინტერესები, რომელნიც ბაჟის შემოღებიდან პირად სარგებლობას ელიან. ინგლისის ხალხს კი ეს ბაჟი ზარალის მეტს არაფერს მოუტანს. კერძოდ ლონდონიც დაზარალდება, თუ გაუქმდა ვაჭრობის თავისუფლება. გამოანგარიშებული მაქვს: თუ ჩემბერლენმა გაიმარჯვა, მარტო ლონდონში დაეკარგება სამუშაო 1,350,000 კაცს“.

დასასრულ კემპბელ-ბანერმანმა სთქვა: მთავრობისა და ჩემბერლენის პროექტი ბაჟის შემოღების შესახებ—თავისუფლების უარყოფაა. ეს პროექტი ნაყოფია უცხო ხალხთა მიმართ შურისა და მტრობისა. ეს პოლიტიკა—რეტროგრადებისა და ხალხის მტრების პოლიტიკაა და მას თავის დღეში არ მოიწონებს თავისუფლების მოყვარული ხალხი.

ავსტრ-ჰუნგრეთი. ჰუნგრეთის პოლიტიკური მოძრაობა ამ ბოლო დროს ტისსას კაბინეტის წინააღმდეგაა მიმართული. მეთაურ ლიბერალურ პარტიის დისსიდენტები, რომელთა შორის ბევრი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეა, შეერთდნენ გრაფის ანდრაშის მეთაურობით, რომელმაც ამის შემდეგ მძლავრი გავლენა მოიპოვა პალატაში. ოპოზიციის დასებს მოლაპარაკება აქვთ საარჩევნო შეთანხმების შესახებ და გაცხარებულად მოქმედებენ. საარჩევნო ბრძოლა უკვე იწყება და დეპუტატთა უდიდესი ნაწილი თავის ოლქებში დაბრუნდა. საოპოზიციო მოძრაობა, როგორც სჩანს, მთელ ჰუნგრეთს მოედვა.—ყველგან ძლიერდება მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაცია.

ოსმალეთი. სტამბოლიდან დეპეშით ატყობინებენ ლონდონის გაზ. „დეილი ნიუს“-ს, რომ ამ ბოლო დროს ისევ გამწვავდა საქმე სომხეთში. ქურთები არბევენ სომხების სოფლებს და სძარცვავენ ხალხს. ოსმალეთის მოხელენი კი ყურსაც არ იბერტყავენ. გაზაფხულზე ნამდვილ ამბოხებასა და საშინელ სისხლის ღვრას მოელიან.

ფელეტონი

პატარა ამბები

გარედ შვიდი გრადუსი ყინვაა!—მინდა დავმუნჯდე, ვიდრე ვილაპარაკო წინანდელივით.—ორნაირი მკითხველი.—კიდევ პატარა ამბები.—ერთი ჯგუფი პეტერბ. ქართველ სტუდენტებისა.

ესეც არის, დავბრუნდი ჩემს ოთახში. გარედ შვიდი გრადუსი სიცივეა. იშვიათი ამბავია! უცბად აცივდა. ბოლო დროს კარგი დარები იდგა და გვეგონა ასე იქნებოდა სულ. არა, კაცმა რომ სთქვას, ძალიან გულუბრყვილო და ჭკუამოკლე ხალხი კი ვართ. საიდან წარმოვიდგინეთ, რომ ამ შუა ზამთარში ზეციდან მზე დაგვაცხუნებდა და ძვალსა და რბილს გაგვითბობდა. ლაჩრებს და საწყლებს ოცნების მეტი არაფერი შეგვიძლია, წარმოვიდგინეთ გაზაფხული და დავარწმუნეთ ჩვენი თავი, რომ მართლა გაზაფხულია, რა-კი ერთი ორი თბილი დღე გამოერია,..

მე მგონია, ეს სულ გაზეთების ბრალი კია. „გაზაფხული, გაზაფხულიო“ ვკითხულობდით, და დავიჯერეთ (სუვორინის სიტყვები?!), რომ მართლა თბილა, საზაფხულო პალტოები ჩავიცვით, ფანჯრები გავაღეთ, მაგრამ ზამთარმა ზამთრობა დაიწყო. დღეს რომ სახლში ვბრუნდებოდი, ყინვამ ყურები დამიწითლა და ცხვირი კინაღამ წამგლიჯა. ოთახშიაც ცივოდა, ოხერი რუსული ფეჩი სრულებით არ ათბობს ჩემს ოთახს. ავანთე ლამპა, გავითბე ზედ ხელები, მერე გამოვაღე ფეჩის კარი და შევაწყვე შიგ ფეხები, მაგრამ მაინც ვერ გავთბი ხეირიანად; ბევრიც ვიხტუნე, ვიარე აქეთ-იქით, არც ამან მიშველა.

ეჰ! რა გაათბობს ადამიანს, რა, როდესაც მისი გული გაცივებულია! დეე, გარედ ოცი და ოცდაათი გრადუსი ყინვა იდგეს, სიცივისაგან ვკანკალებდე ჩემს ოთახშიც, განა ამას შევუშინდები? ოღონდ... ოღონდ...

**

ოღონდ?

რა შეუბრალებელი რამა ხარ, მკითხველო! გინდა, ძალად ამოგლიჯო ადამიანს სიტყვა, მაშინ როდესაც მას სრულებით არ უნდა, ხმა ამოიღოს. რაღ უნდა ვილაპარაკო, რა მაქვს სათქმელი? უნდა ვითვალთმაქცო, უნდა ვატყუილო ჩემი თავიც და სხვებიც, უნდა მოვყვე ლობეყორეს, მთელ საათს, მთელს დღეს, მთელს წელიწადს გელაპარაკო იმიტომ, რომ არა გითხრა-რა?

კმარა ასეთი ლაპარაკი, კმარა! ჩემთვის მაინც კმარა, და დავმუნჯდები სრულიად, კრინტს არ დავძრავ ან ვილაპარაკებ სულ სხვა ენით! ნუ თუ არ გეყო, მკითხველო, ამდენი მონური, ყალბი, ბუნდოვანი სიტყვები? ერთხელ მაინც არ გინდა, გაიგონო ერთი, მაგრამ მართალი, ადამიანური სიტყვა?

ან რას გამოელი, რა უნდა გითხრა? განა იმდენად ყრუ და ბრმა ხარ, რომ არ გესმის და არ ხედავ, რაც შენს გარშემო ხდება? ღამის ზღვამ წალეკოს ყველაფერი, ქარიშხალმა მიანგრ-მოანგრიოს კლდენი და მთანი, ჯოჯოხეთურის გრგვინვასავით გაისმის ადამიანთა კვნესა და მდინარეებად გადაქცეულა უდანაშაულოთა და უბრალოთა სისხლი, და შენ მაინც ბრმა ხარ და ყრუ? თუ ყველაფერს ხედავ, ყველაფერს ჰგრძნობ, მაგრამ მაინც ტახტის ქვეშ შემძვრალხარ, შიშს შეუპყრიხარ, ჰკანკალებ, ხმა ვერ ამოგიღია? და გინდა, რომ მე გაგამხნევო, შეგაგულიანო, რომ ერთის წუთით გამოიხინო მოქალაქობრივი მამაცობა, თავი ამოჰყო შენის ხვრელიდან, პირი გააღო რიდაცის სათქმელად, მაგრამ არა თქვა-რა, ისევ მიიმალო—დამუნჯდე მშიშარა და მონა?

რა უნდა გითხრა? თუ გესმის და შეიგნე, რომ უბედური ხარ, გინდა თავი დააღწიო უბედურებას,—რაღა ჩემი სიტყვაა შენთვის საჭირო? ხმა ამოიღე, სთქვი, რომ ადამიანი ხარ და აფასებ ადამიანის უფლებას! და თუ გინდა, დარჩე დღევანდელს მდგომარეობაში, მაშინაც რაღ გჭირია ჩემი სიტყვები? ან მე რა საქმე მაქვს შენთან? დარჩი ისევ შენს აყროლებულს მორევში, ფეხის გული დაუკოცნე იმას, ვინც მაგ ფეხითვე გაგთელავს, მაგრამ ლუკმა პურს გადმოგიგდებს...

მეტი ხომ არაფერი გსურს და ამისთვის აბა რაღ გინდა მართალი სიტყვა, ან საზოგადოდ სიტყვა? ამას უსიტყვოდ, მუნჯურადაც ხომ კარგად მოახერხებ. სიტყვას, მართალს, თავისუფალს სიტყვას ისინი ეძებენ, ვინც წინ მიდიან, ცხოვრებისათვის იბრძვიან, შენ-კი სიტყვის „ბრძოლის“ გაგონებაც-კი კანკალს დაგაწყებინებს და მზადა ხარ, ენა ძირში მოიჭრა, რომ არაფერი წამოგცდეს თავხედური და უზრდელი. რაღ აგიღია ხელში გაზეთი, რას დაეძებ შიგ? მონურ ჰიმნებს, შაირებს და ზღაპრებს? ეს გაახარებს მხოლოდ შენს გულს?

თუ გინდა, გული მოგფხანოს სხვისმა სიტყვამ? გჯერა, არ გატეხილხარ, რომ ნამდვილი მოქალაქე ხარ, შეგიძლია მოქალაქობრივის უფლების დაცვა და რომ კარგი, მჭევრმეტყველური, გაბედული სიტყვა გაგაგონა, მაშინ... მაშინ... შენც ამოიღებდი ხმას, თუ... სხვა-და-სხვა მიზეზები ხელს არ შეგიშლიდა, თუ,.. სახიფათო არ-იქნებოდა, თუ... „ნდობაა არ მოგაკლდებოდა, თუ... ჟილდოსაც-კი დაგპირდებოდნენ შენი მოქალაქობრივის მამაცობისათვის, თუ... მაგრამ ვინ ჩამოსთვლის, რამდენ „თუ“-ზე გადაამბამდი შენს მამაცობას!

რა ხარ?... პირდაპირ უთხარი შენს თავს. რას გამოელი ჩემი სიტყვისაგან? რა უნდა გითხრა?

**

განა შენთვის სულ ერთი არ არის? თუ უკმაყოფილო ხარ შენის დღევანდელის ბედის, გამოდი და მოითხოვე ის, რაც დაგაკმაყოფილებს. რა ლაპარაკის დროა! და თუ კმაყოფილი ხარ, მაშინ...

ვინ იცის, შენ, ალბად, ძალიან გეამა, იფიქრე, რომ სწორედ შენზეა გამოჭრილი იმ რუსის მწერლის წერილი, რომელიც ამბობდა: ქართველებმა სრულიად ბედნიერად და კმაყოფილად უნდა ჩასთვალონ თავიანთი თავიო, რადგან წინად დატაკურად და უპატრონოდ სცხოვრობდნენ, ეხლა კი გაუჩნდათ კარგი პატრონი და მომვლელიო. მხოლოდ ის გეწყინებოდა, რომ სხვამ დაგასწრო და შენ ვერ დასწერე ყველაზე უწინ ეგ აზრები. მაგრამ რას ვამბობ, განა შენ არ გამოგითქვამს ეგ აზრები წინად, არ დაგიწერია? რამდენჯერ, რამდენჯერ!

კინაღამ ცილი დაგწამე. ეჭვი როგორ შევიტანე და ვიფიქრე, რომ შენ როდისმე ცოტათიც არის უკმაყოფილო იყავი, და რაკი კმაყოფილი, რასაკვირველია, საწინააღმდეგოს არ-რას ამბობდი. სჭამდი, სვამდი და ბრიყვულად იღიმებოდი, შესცინოდი სახეში იმას, ვისი შემწეობითაც იყავი კმაყოფილი. თუ მოხდებოდა ისეთი უბედურება, რომ ხან-და-ხან რამე საჭმელს ვერ მოინელებდი, მუცელი გეტკინებოდა, თავს ბრუ დაგესხმოდა, მაშინ დაიჩოქებდი და ზეცას მიმართავდი. ღრმად გწამდა თავ. მეშჩერკის სიტყვები, რომელიც სწერდა, რომ რუსეთის იმპერიის მცხოვრებთათვის ერთი რამაა მხოლოდ საჭირო... ლოცვაო: „ლოცვის რამდენსამე სიტყვაში გამოიხატება მთელი ცხოვრების სიბრძნე, მთელი პოლიტიკური პროგრამმა, მთელი შეხედულება ხალხისა. ლოცვა ავსებს მლოცველთა სულსა და გულს, მიანიჭებს მათ სიმშვიდეს, უმაღლეს და უძვირფასეს სიკეთეს, რომელიც კი შესაძლებელია დედამიწაზე; ლოცვა გაიტაცებს მათ ზეცისაკენ. მაგრამ, სამწუხაროდ, არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც უნდათ, წაართვან ხალხს ეს ნეტარება, ეს უუტკბილესი სიზმარი რაღაც გაუგებარის კაცთმოყვარეობის მოსაზრებით“. ღრმად გწამდა ეს სიტყვები, თუმცა ძალიან კარგად იცოდი ისიც, რომ თითონ თავადი მეშჩერსკი არასოდეს არ ლოცულობდა და ლოცვის მაგიერ სულ სხვა რამეში ჰპოვებდა სიტკბოებას და ნეტარებას...

„ღმერთმა მოგცესო“, ეტყვიან გლახას. ასე გეუბნებოდათ შენ და შენისთანებს მეშჩერსკი. რომელსაც ყოველივე სხვა სიკეთე თავისთვის უნდა და მხოლოდ ერთი ლოცვა ემეტება ხალხისათვის. შენ უმაღლოდი მეშჩერკისებურ ადა-

მუშების გაფიცვა

—

გაზეთ „კავკაზ“-ში შემდეგი ოფიციალური განცხადებაა დაბეჭდილი:

„ორშაბათს, 13 დეკემბერს, დილის 6 საათზე, ბაქოს სამრეწველო რაიონში დაიწყო მუშათა გაფიცვა. მუშებმა დააზიანეს ბაქო-ბალახანის ტელეფონი და შესწყვიტეს იმისი მოქმედება, ხოლო კასპი-ჩერნომორის ამხანაგობის სამრეწველოებზე დააზიანეს იმ მანქანების მოწყობილებანი, რომლითაც ბინებს ათბობენ. გაფიცვა დაიწყო აგრეთვე ბიბიეიბათის სამრეწველოებზე. აქ მუშებმა გამოუშვეს ორთქლი საორთქლედან და წავიდნენ. თუმცა დაუყოვნებლივ შესაფერი ზომები იქმნა მიღებული, მაგრამ გაფიცვა შემდეგ დღეებში მაინც ძლიერდებოდა და დღეს მუშები ყველგან გაიფიცნენ, როგორც სამრეწველო რაიონსა, ისე ქალაქ ბაქოში. გაზეთები აღარ გამოდიან, სტამბების უმრავლესობა აღარ მუშაობს, ტრამვაის ვაგონების მიმოსვლა შესწყდა. ბალახანის მუშათა დასები სამრეწველოებსა და ქარხნებში მიდიან და თხოულობენ მუშაობის შეწყვეტას და საორთქლედან ორთქლს უშვებენ, მაგრამ პოლიციისა და რაზმის მისვლისას მსწრაფლ იფანტებიან. აქამდე დიდი შეტაკება არ მომხდარა პოლიციასა და ჯართან. მხოლოდ ერთ პოლიციელს რევოლვერის ტყვიით გაუხვრიტეს ფარაჯა.“

ახალი ამბავი

—

◆ როგორც **პეტერბურგიდან გვატყობინებენ**, პეტერბურგის საბჭოს შუამდგომლობის გამო ადგილობრივი გრადონაჩალნიკი დაჰპირებია, აუკრძალავ პოლიციას არეულობების დროს მეეზოვენი მიიწვიონ და მიიშველიონ ხოლმე.

◆ ხვალ, 20 დეკემბრიდან **დეპეშების გაგზავნის დროს** ბლანკის ფასს გადაახდევინებენ 20 კაპ., დღემდის კი ახდევინებდნენ 15 კაპ. შაური მოემატა წითელი ჯვრის სასარგებლოდ. სამი შაური დარჩება მხოლოდ იმ დეპეშებისთვის, რომელიც მანჯურიაში გაიგზავნება.

◆ 12 დეკემბერს **ამიერ-კავკასიის რკინის გზის მომხმარებელთა ამხანაგობამ** დაადგინა დაკეტოს ის თითო-ოროლა დარჩენილი მაღაზია, რომელიც აქა-იქ სადგურებზეა. რაც შეეხება სამგზავრო დუქნებს, ამხანაგობამ შუამდგომლობა აღძრა რკინის გზის უფროსის წინაშე, რომ ამ დუქნებს სამგზავრო ფული არ ერთმეოდეთ. თუ უფროსმა ეს შუამდგომლობა არ შეიწყნარა, ამხანაგობას გადაწყვეტილი აქვს დუქნებიც დაკეტოს.

◆ ტფილისის ქალაქის **ხორცის დუქნების ბედის გადასაწყვეტად** 17 დეკემბერს მოხდა შეერთებული კრება ქალაქის გამგეობისა, ხორცის დუქნების და საფინანსო კომისიებისა. კრებამ, მიუხედავად წარსულ წლების ზარალისა, საჭიროდ და მცხოვრებთათვის სასარგებლოდ სცნო ეხლანდელ დუქნების დატოვება და აგრეთვე ახალ დუქნების გაღება. კრებამ დაადგინა, გადაიდოს ახალ დუქნების გასახსნელად და არსებულ დუქნების გასაძლიერებლად 60,000 მან. ამას გარდა ყოველ წლივ გადაიდოს 10,000 მან. დუქნების მოხელე მოსამსახურეთა შესანახად, დაევალოს დუქნების კომისიას შეიმუშაოს მოხსენება საქმის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. დასასრულ კრებამ საჭიროდ სცნო დუქნების გამგე და ნიხრის გამწესებელ კომისიების შეერთება. თავმჯდომარე საბჭომ უნდა აარჩიოს.

◆ **დ. ზ. სარაჯიშვილის მაგარ სასმელების ქარხნების მოსამსახურეთ** 1902 წელს აღუძრავთ შუამდგომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე შემნახველ-გამსესხებელ კასის დაარსების შესახებ და თავიანთ მიერ შემუშავებული წესდებაც წარუდგენიათ. როგორც გუშინ, 18 დეკემბერს მთავარ-მართებლის კანცელარიამ აცნობა გუბერნატორს, სამინისტროს წარდგენილი წესდება შეუცვლია და შემოუთვლია: თუ ამ შეცვლილ წესდებაზე გსურთ აწარმოვოთ თქვენი კასის საქმე, წარმომიდგინეთ წესდების პირი და დავამტკიცებ, თუ არა და, თქვენ შუამდგომლობას ვერ დავაკმაყოფილებო.

◆ მივიღეთ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ გამოცემული **„საქართველოს კალენდარი 1905 წლისა“**. როგორც ერთის გადათვალიერებით ეტყობა, წლეულს დიდი გულის-ყური დაუდვიათ და ეს კალენდარი მართლაც კარგად შეუდგენიათ. კალენდარში ცხრა განყოფილებაა და ყველა კარგად არის შედგენილი. ბევრი საყურადღებო და საფუძვლიანი წერილია მოთავსებული კალენდარში. დიდ ყურადღებას იქცევს სალიტერატურო განყოფილება, სადაც მოთავსებულია მოთხრობები, ლექსები, სცენები. სურათები, როგორც ყოველთვის, მრავლად არის. კალენდარი შეიცავს ექვსას გვერდზე მეტს და ღირს თოთხმეტ შაურად.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ სახელოსნოები 16 დეკემბერს საღამოს **შემდეგი ამბავი მოხდა**: როცა სახელოსნოს ყველა განყოფილებაში მუშაობა დასრულდა, მუშები დაიშალნენ და სახლებისაკენ წავიდნენ, გამოსავალში ვიღაც კაცმა სამჭედლოს ამქრის ბრიგადირს ბელოკონიევს ორჯელ ესროლა უკანიდან რევოლვერი და ხალხში მიიმალა. ბრიგადირი მძიმედ დაიჭრა. ჟანდარმთა პოლიცია გამოძიებას შეუდგა.

◆ **ტფილისის ნაფიც ვექილებს**, როგორც „ნ. ო.“-ს გაუგია, განუზრახავთ შუამდგომლობა აღძრან, რომ ტფილისის სამოსამართლო პალატასთან ნაფიც ვექილთა საბჭო დაარსდეს.

◆ მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის მედვედიევის თავმჯდომარეობით უნდა მომხდარიყო ამ წლის გასულამდის **სპეციალისტთა კრება კავკასიაში ბრინჯის** მოყვანის საქმის გასაწესრიგებლად. ბ-ნმა მედვედევმა აცნობა გუბერნატორს, რადგან ამ კრებაზე სამკურნალო უწყების წარმომადგენელთა დასწრება საჭიროდ მიმაჩნია და რადგან კავკასიის თითქმის ყველა კუთხის ექიმები გართულნი არიან ხოლერასთან ბრძოლაში ან წინააღმდეგ ზომების მიღებაში, ამიტომ კრება გადავდეთ იმ დროსთვის, როდესაც ექიმები მოიცლიანო.

◆ მიხეილის ქუჩაზე, 17 დეკემბერს, საღამოს $4^1/_2$ საათზე, **კინაღამ უბედურება მოხდა**: ქუჩაში საკუთარ ეტლით მიდიოდა პრინცი ნაპოლეონი. გაქანებულ ეტლს ორსავე მხრიდან, იქიდან და აქედან, მოასწრეს ელექტრონის ტრამვაის ვაგონებმა და ისე ძლიერად დაეტაკნენ, რომ ეტლი სულ ერთიან დაიმსხვრა. ყველა ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ვერც ვაგონების დამტარებლებმა და ვერც მეეტლემ ვეღარ მოასწრეს დროზე შეჩერება. დაშავებით არავინ არ დაშავებულა.

◆ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა გორის მაზრის სოფელი ალ-ქალაქი საშიშოდ იცნო **ფილოქსერის მხრივ**. ადგილობრივ ადმინისტრაციას დაევალა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილებანი ფილოქსერის შესახებ მტკიცედ დაიცვან.

◆ 17 დეკემბერს საგანგებო მატარებლით ტფილისიდან ბაქოს წავიდა **ნავთის მილის** დასათვალიერებლად გზათა სამინისტროს სატეხნიკო ნაწილის უფროსი, ინჟენერი დამბროვსკი.

◆ 17 დეკემბერს განჯის სადგურის მახლობლად სამი კაცი გახდა **ხოლერით ავად**, სამივე რკინის გზის მოსამსახურეა. ავადმყოფნი განჯის ხოლერიანთა ბარაკში დააწვინეს.

◆ მოგვივიდა ახალი წიგნი „დედა მიწა და კუდიანი ვარსკვლავი“, გერმანულიდან თარგმანი ნიკო ალნიაშვილისა. ფასი ორი შაური.

◆ როგორც აქაურ გაზეთებს ატყობინებენ ირკუტსკის სასამართლო პალატის წევრი იონინი დაინიშნა ტფილისის სამოსამართლო პალატის წევრად.

◆ ექიმი ა. თეთრაძე გვთხოვს დავბეჭდოთ: „ცნობის ფურცლის“ მე-2700 ნომერში დაბეჭდილია ამბავი, ვითომ-და კავკასიის სამკურნალო საზოგადოებაში არ იყოს არც ერთი ქართველი ექიმი და „თუ არის, ამ ექიმებმა ქართული ენა არ იციანო“. ამ შენიშვნის შემდგენელს უპასუხებ, რომ მომეტებული ნაწილი ტფილისის ქართველ ექიმებისა ითვლება ამ სამეცნიერო საზოგადოების წევრად, და ბევრი მათგან არ დაუვარდება ქართულ ენის ცოდნაში ზემოხსენებულ შენიშვნის შემდგენელს. ჩემი გვარის შეცდომით დაბეჭდვის მიზეზი ის იყო, რომ განცხადება დაბეჭდვინა სამკურნალო საზოგადოების მდივანმა ბ-ნმა მუხარინსკიმ სომხის სტამბაში, და განცხადების შედგენაში არც მე და არც სხვა ქართველ ექიმ წევრს მონაწილეობა არ მიგვიღია, ამიტომ შეცდომა ან ბ-ნ მუხარინსკის ბრალია და ან სომხის სტამბისა“.

◆ მოგვივიდა „ბედის კალენდარი“, კ. თავართქილაძის მიერ შედგენილი და გამოცემული. კალენდარი სუფთად არის დაბეჭდილი და ღირს ორ აბაზად.

◆ გუშინ ქალაქის ინჟინერმა კოგნოვიცკიმ აცნობა მოურავს მიზეზი ქალაქში 17 დეკემბერს წყლის ნაკლებობისა. ინჟენერს ავჭალაში დაუთვალიერებია წყლის მილი და უნახავს, რომ ორგან მილის სათავეში არხებში წყალი გაუჟონავს, ხოლო წყლის საქაჩავები ვაშინგტონისა და კოკერნიის ფირმებისა ჯერ დამზადებული არ არის. წყლის ნაკლებულობით 17 დეკემბრის ნაშუადღევის 4 საათიდან 18 დეკემბრის 8 საათამდე უფრო შეწუხებულნი იყვნენ ქალაქის მაღლობ და განაპირა ადგილების მცხოვრებნი.

◆ დიდის ქარიშხლის გამო ბაქოს ლიანდაგზე 17 დეკემბერს მატარებელმა სამის საათით დაიგვიანა.

◆ სად. საბუნჩა. 17 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 ს. 27 წუთზედ, როდესაც სახალხო მატარებელი №53 უნდა გაჩერებულიყო, მგზავრმა არუთინ გრიგორიანცმა არ დაუცადა მატარებლის გაჩერებას, გადმოხტა ვაგონიდან და ჩავარდა მატარებლის ქვეშ. თვლებმა მარჯვენა ფეხი მოსწყვიტეს. დაშავებული საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ სად. ფოთი. 16 დეკემბერს, საღამოს 7 საათზედ, როდესაც მანევრების ორთქლმავალი მანევრებს აკეთებდა და 69 ვაგონი მიჰქონდა, 22 ვაგონი ლიანდაგს გადასცდა.

◆ სად. ქარელი. 16 დეკემბერს სახალხო მატარებელში უეცრად გარდაიცვალა ყმაწვილი დანილოვი.

◆ სად. ხაშური. 14 დეკემბერს, მუშაობის დროს, როდესაც თხრილებს სთხრიდნენ, დღიური მუშა ალექსი ბარბაქაძე დაშავდა.

◆ დიდ უბეში მცხოვრებ ვასილ ხომასურიძის სახლს სარდაფიდან გაუჩნდა ცეცხლი. ცეცხლის გაჩენა მალე შეიტყეს და შინაურის საშუალებით ჩააქრეს. ზარალი 200 მანეთამდეა.

◆ ბარიათინსკის ქუჩაზედ, 17 დეკემბერს, საღამოთი, ეტლი № 104 ისე გაქანებული მორბოდა, რომ ტფილისის მოქალაქეს ბორის სანდლერს დაეტაკა და დააშავა. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ დესიმონოვის მოედანზე 16 დეკემბერს, პოლიციის მოხელეებმა დააპატიმრეს ტფილისის მოქალაქე ტიგრან მხითაროვი, რომელსაც ივანე პარტნოვის სახელოსნოდან 2 ფუთი რკინა მოეპარა და მიჰქონდა.

◆ ამას წინად ელისაბედ მოშევსკისას სახლი გაუტეხეს ვიღაც ბოროტ განმზრახველებმა და გაიტანეს ნივთები. ქურდი აღმოჩნდა გორის მაზრის მცხოვრები გიორგი ბეგიაშვილი, რომელიც დააპატიმრეს.

◆ ბორჩალოს მაზრაში ამ თვის პირველ ნახევარში შემდეგი ამბები მომხდარა: 1. სოფ. ბოლნის ხაჩინის მცხოვრებ მოსეს რუსტამოვს თოფით მოუკლავს თავისივე ერთსოფლელი ვასილ ტერ-ანდრისოვი; 2. სოფ. ბეტარაბჩის მცხოვრებმა ლისკანდარ-ალი ოღლიმ ჩხუბის დროს ხანჯლით სასიკვდილოდ დასჭრა თავში იქაურივე სოფ. ნაზარლოს მცხოვრები მეხრალი აბდულ-ოღლი; 3. სოფ ანტალაში სოფ. ვაკაციდან (კავკასიის ოლქი) ჩამოსულ ფეოდორ კალუხოვისთვის გაუტეხიათ სადგომი და 630 მანეთის ნივთეულობა წაუღიათ; 4. სოფ. შამლუნში ორ უცნობ ბოროტ მოქმედს თოფებით სასიკვდილოდ დაუჭრიათ თავის სადგომში ადგილობრივი მცხოვრები ივანე პროკოვი, იმ დროს, როცა პროკოპოვმა მათ, როგორც ქურდებს, თავისს თავლაში მოასწრო.

◆ 16 დეკემბერს, საღამოს 6 საათზედ, ლორის მელიქოვის ქუჩაზედ სვანიძის სამკერვალოში დააპატიმრეს ორი ქურდი. ერთი, როგორც თითონ განაცხადა, კერძო ვექილია. აღნიშნულ დროს სამკერვალოში შესულა ორი კაცი და მოუთხოვნიათ საზამთრო პალტოს ნიმუშები, რადგან პალტოს შეკერვა სდომებიათ. სამკერვალოში ბნელოდა და ტანისამოსის გამომჭრელი ფიშერი გასულა მეორე განყოფილებაში ლამფის გამოსატანად. ფიშერმა შეიგვიანა, რის გამოც სვანიძეც თან გაჰყოლია, რომ დაეჩქარებინა ლამფის გამოტანა. უცნობნი სამკერვალოს წინა განყოფილებაში დარჩენილან. როცა ფიშერი გამოსულა, შეუნიშნავს რომ ერთი უცნობი კარში იდგა, ხოლო მეორე პორტფელს აწოდებდა იმ სიტყვებით: „წაიღე პორტფელი და შინ ჩვენებს უთხარი, რომ ცოტას ხანს შევიგვიანებო“. ამ გარამოებით დაინტერესებული ფიშერი ახლო მისულა და შეუნიშნავს, რომ მიმავალს უცნობს პალტოში რაღაც ნივთი ჰქონდა. მისულა და გადუწევია პალტო, რომლის ქვეშაც ქურდს შეედო ორი დიდი ნაჭერი მატერიისა, 100 მან. ღირებული. დაუძახეს პოლიციას. პოლიციაში ერთმა განაცხადა, მე ხარკოვის მცხოვრები ვარ, კერძო ვექილი და ინსპექტორი „ეკვიტებლის“ დამზღვევ საზოგადოებისა ივანე გრიგორიევიო. მეორემ სთქვა, ტფილისელი მოქალაქე რომანოზ როინოვი ვარო.

◆ როგორც თელავიდან გვატყობინებენ, 13 დეკემბერს ვიღაც კაცმა კისერსა და მკლავში მძიმედ დასჭრა კურდღელაურის სოფლის საზოგადოების მამასახლისი მიხეილ მამუკელაშვილი.

—

დღევანდელ ნომერთან ერთად ხელის მომწერთ ურიგდებათ **სურათებიანი დამატება № 280**. შინაარსი: „მეჩექმე გაბო“, დასასრული მ. ადამაშვილისა; სურათები: შეტაკება სოფელ ლინშიპუსთან, დარაჯი ბაიკალის რკინის გზაზე, იაპონელები წყურვილს იკლავენ ცხარე სროლის დროს, მარშალი ოიამა და იმისი შტაბი ჯადოქრის წარმოდგენაზე ლიაოიანში, გენ. კუროპატკინისეულ ბაღში, და სამი კარიკატურა.

—

შეცდომის გასწორება. „ცნობის ფურცლის“ მე-2702 ნომრის სასამართლოში (სხვის ქონების მითვისება) განაჩენი შეცდომით გვქონდა გამოცხადებული. დაბეჭდილია, რომ ბახტაძისა, იოსელიანისა, ზურგაიასი და კაკაბაძის საქმის შესახებ სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ზემოხსენებულნი დამნაშავედ იქმნენ ცნობილნი. პალატამ კი არ დაამტკიცა,—გააუქმა ოლქის სასამართლოს განაჩენი და ბრალდებულნი, ყველანი, გაამართლა.

პრესსა

—

„ნაშა ჟიზნ“-ი რუსულ ფოსტის გამო შემდეგს სწერს:

> ზოგი პუბლიცისტი ხალხის კულტურას იმით ზომავს, თუ სულზე წელიწადში რამდენი წერილი იგზავნება ფოსტით. მართლაც, ყველა მეტ წერილს ინგლისელები სწერენ: ორთა შუა რიცხვით სულზე მოდის წელიწადში ორმოცი წერილი, რუსი მხოლოდ ორ წერილს სწერს წელიწადში და ამ მხრივ მხოლოდ ოსმალელს უსწრობს. დასავლეთმა ევროპამ, ამერიკამ და ავსტრალიამ გაგვისწრეს არა მარტო წერილების რაოდენობით, არამედ საფოსტო დაწესებულებათა რიცხვით და ფოსტის მოხელეთა შრომის დაჯილდოვებითაც. ესეც ცოტაა. რუსული ფოსტა სხვა ფოსტაზე ბევრად ძვირია და წერილის გაგზავნას ბევრი ყოვლად უმიზნო ფორმის შესრულება სჭირდება. ამასაც შეურიგდება კაცი, თუ კანტროლისათვის არის საჭირო. მაგრამ შეუძლებელია შევურიგდეთ იმ გარემოებას, რომ ჩვენი საფოსტო უწყება სრულიად არა სცემს პატივს მიწერ-მოწერის საიდუმლოებას. რუსეთში არ ყოფილა და არ არის მიწერ-მოწერის საიდუმლოება, რუსეთში ხალხს არა აქვს ნდობა ფოსტისადმი, და ამ ნდობას მხოლოდ მაშინ შეიძენს ჩვენი ფოსტა, როცა იგი ისევე შორს იქმნება „პოლიტიკა“-საგან, როგორც დასავლეთ ევროპაში.

გაზეთი „ნოვოსტი“ თავის მხრივ დასძენს: საფოსტო ნიხრი ძალიან დიდი არ არის, რადგან მას სულ უმატებენ, და რაც შეეხება „პოლიტიკას“, ძალას ვინ გატანს საინტერესო წერილი დასწერო? ნუ დასწერთ ამ გვარს წერილებსა და არც არავინ დაარღვევს მათ „საიდუმლოება“-სო.

კარგი რჩევაა, მკითხველო!

⁂

პროლეტარიატი, უმიწაწყლო ბოგანო ხალხი ძველის რომიდან დაწყებული თავსატეხ საგანს შეადგენს სახელმწიფო მოღვაწეთა და მოაზრეთათვის, და თურმე სულ ტყუილი და ფუჭი ყოფილა ეს თავის

მანეჩს, რომელთაც სააქაო მაიქვთ თავისთვის და საიქიოს გაძლევენ შენ, რადგან ვინც დაიტანჯება აქ, ვინც დაჰკარგავს უფლებას აქ, მოიღხენს და უფლებას მოიპოვებს იქაო. გჯეროდა, გჯერა ყველაფერი ეს. კმაყოფილი ხარ და თუ რამ უცაბედად არ მოგეწონება, ზეცას შესცქერდები მხოლოდ.

მაშ რაღ გინდა ჩემი სიტყვა, რა უნდა გითხრა მე?

**

რა ინტერესი აქვს შენთვის ჩემს „პატარა ამბებს“? თუ გინდა ადამიანური სიცოცხლე, გინდა გამოხვიდე დღევანდელი მდგომარეობიდან, რა დროს პატარა ამბებია! დიდ ამბებს მიმართე, სიტყვა საქმედ შესცვალე! თუ არ გაქვს უფლება, მოიპოვე უფლება, თუ ხარ უბედური, მოიპოვე ბედნიერება, თუ ხარ დაცემული, ფეხზე წამოდექი, თუ არ გყოფნის ჭკუა, თავისუფალ ჭკუაზე გამოდი!

და თუ კმაყოფილი ხარ, თუ არაფერი აღარ გინდა, მაშინ „პატარა ამბებიც“ მეტია შენთვის, ვერც იმათ დაიტევს შენი მონური სული. რისთვის უნდა შეიწუხო თავი (თუ კი რასმე შეუძლია შეგაწუხოს!)?.. მაშინ პატარა ამბებიც მიუწდომელია შენთვის, არაფერს გეტყვიან, არაფერს გარდა იმისა, რომ ერთმა და იმავე ძალამ წარმოშობა შენც და ის „პატარა ამბები“, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ შენში მკვდარია ყოველივე სურვილი განახლებისა, „ამბებში“ კი თუმცა მკრთალად, მაგრამ მაინც ცოცხლობს მისწრაფება აღდგენისაკენ!..

მშვიდობით განისვენე წიაღსა მონობისასა. მოსვენების მეტი ხომ არაფერი გინდა? კმაყოფილი ხარ და კმაყოფილების დამაგვირგვინებელი მოსვენებაა. თ. მეშჩერსკი შენი მეგობარი არ არის? განა ეგ არ გირჩევს მოსვენებას, ძილს და სიზმრებს? ყურს მოკრავდი სადმე ქუჩაში ერთს ფილოსოფიურს აზრს, რომ სიცოცხლე სიზმარიაო. ძალიან მოგეწონებოდა ასეთი ფილოსოფია, რომელიც ცოტა რომ შეაბრუნოთ, ზედ გამოჭრილი იქნება შენზე. სიცოცხლე სიზმარიაო, მაშ ცოტა შებრუნებით შეიძლება ვთქვათ: სიზმარი სიცოცხლეა! და რაკი ეს ასე იქნება, თამამად შეგიძლია მთელი შენი სიცოცხლე ძილსა და სიზმარში გაატარო და თამამად და თავმომწონედ დაარწმუნო შენი თავი და სხვებიც, რომ ცოცხლობ და დიდებულადაც ცოცხლობ! თუ ვინმემ რამე გისაყვედუროს, ზემოდასახელებული ფილოსოფიური საბუთი მოუყვანე; თუ არ დაგიჯეროს, ბავშვი დაუძახე, და თუ ესეც არ იკმაროს, „სხვა და სხვა მიზეზებზე“ მიუთითე.

საზოგადოდ ხშირად მიმართე „ცოტა შებრუნების ფილოსოფიას“: ბევრის განსაცდელისაგან დაგიხსნის. მაგალითად, გავრცელებული აზრია, რომ ორი უკიდურესობა ერთმანეთს უახლოვდება. მაშასადამე უკიდურესი უბედურება და ბედნიერება, უკიდურესი უფლება და უუფლებობა, უკიდურესი მონობა და თავისუფლება—ძალიან უახლოვდებიან ერთიმეორეს. თუ ცოტას შევაბრუნებთ, გამოვა რომ ბედნიერება და უბედურება, მონობა და თავისუფლება ერთი და იგივეა. გაიგონებდი აგრეთვე, რომ უდიდესი სიყვარული ხშირად შეიცვლება უდიდეს სიძულვილად. ეს თუ მართალია, მართალია წინააღმდეგი აზრიც, რომ სიძულვილი სიყვარულად შეიცვლება. მაშასადამე მშვენიერად მოქცეულხარ, რომ შეძულების მაგიერ შეიყვარე შენი მტრები და მჩაგვრელები.

მაგრამ რაღა მე გირჩიო და გასწავლო, განა შენ ჩემზე უკეთ არ იცი ყველაფერი ეს? ამიტომაც რაღად გინდა „პატარა ამბები“? როგორც უნდა დაიწეროს, შენთვის მაინც გამოუსადეგარია...

**

ორნაირი მკითხველი მყავს: ერთს უკვე არ აკმაყოფილებს „პატარა ამბები“, მას მეტი უნდა, უნდა ბუნდოვანი, ალეგორიით, გადაკვრით და წერტილებით გამოთქმული სიტყვები-კი არა, უნდა პირდაპირი და გადაჭრილი ერთი სიტყვა, მას იმდენად სიტყვა და ფრაზა არ აინტერესებს ახლა, რამდენად საქმე, საქმე და მხოლოდ საქმე! „პატარა ამბები“ ძალმომრეობის და მონობის ნაყოფია, მას-კი სწადია თავისუფლების სიტყვა, რომელიც დაუყონებლივ იქცევა ხოლმე საქმედ.—მეორენაირ მკითხველს-კი ჩემი „პატარა ამბები“ დიდ რევოლიუციად მიაჩნია, ძალიან ეძნელება მათი წაკითხვა. წაიკითხავს მხოლოდ დაკეტილ ოთახში მარტოდ, რომ არავინ დაინახოს და არ დაასმინოს, და რომ წაიკითხავს, გაზეთს ცეცხლში შეაგდებს და თვითონ მთელს ორ საათს ვერ დაწყნარდება შიშისაგან, რომ თავხედური და უზრდელი აზრები წაიკითხა... ასეთს მასინჯებისათვის არ ვსწერდი ჩემს ფელეტონებს.

მე სახეში მყავდა პირველი მკითხველი. მაგრამ დღეს ვისთვისღა ვსწერო? ვისთვისაც ვსწერდი, იმას უკვე არ აკმაყოფილებს „პატარა ამბები“, მობეზრდა გაუბედავი, მკრთალი სიტყვები! და მობეზრდა მეც. მობეზრდა, აღარ მინდა ვილაპარაკო იმ ენით, რომელითაც ვლაპარაკობდი დღემდის. ვიხილე მზის სხივი და აღარ მინდა კვლავ წყვდიადში ყოფნა! ათჯერ ვამჯობინებ სრულიად დავმუნჯდე, ვიდრე ვილაპარაკო ძველებურად!..

ვილაპარაკო თელაველთა უსაქმურობაზე, ზოგიერთი ფოსტის მოხელის თავგასულობაზე, პოლიციელთა თავხედობაზე, გამცემელ მასწავლებლებზე? არა, დღეს უფრო მაღალი, დიდმნიშვნელოვანი საგანია წამოყენებული წინ, წვრილმანების ადგილი დაიკავა დიდმა საქმემ.

„პატარა ამბების“ დღე დალია, გათავდა, და თუ არ გათავებულა მთლად, თავდება და მოკლე დროში აღარ იქმნება მათი სახსენებელი. წინ მოსჩანს დიდი ამბები!

**

ამიტომ ვილაპარაკებ კიდევ დროებით „პატარა ამბებზე, როგორც უკანასკნელ „პატარა ამბებზე“! განა სიცივემ უნდა შეგვაშინოს და იმედი დაგვიკარგოს? ყინვამ უნდა წაგვართვას ხალისი სიცოცხლისა და წარგვიკვეთოს სასოება?

რა რიგ უნდა ციოდეს, რა რიგ უნდა გაყინული მქონდეს ხელი და ფეხი, როგორც უნდა ვკანკალებდე, მაინც ვიტყვი, რომ „პატარა ამბებს“ ბოლო ედება და შევეხები მათ, როგორც უკანასკნელ „პატარა ამბებს“. წელს საახალწლოთ რომ მივესალმე მკითხველს, ვუსურვე, რომ წლევანდელი წელიწადი ყოფილიყო ჭეშმარიტად ახალი. ახლა, წლის ბოლოს შემიძლიან ვსთქვა, რომ ჩემი ნატვრა არ დარჩა მხოლოდ ნატვრად და ცხოვრებამ დაიწყო განახლება, და მომავლისთვის შემიძლია ვსთქვა, რომ ვილაპარაკებთ „დიდ ამბებზე“...

მანამდის-კი დროებით „პატარა ამბების“ შესახებ, რომლებიც ბევრი მოგროვდა ჩემი სტოლის უჯრაში. დანარჩენები შემდეგისათვის იყოს, დღეს-კი მხოლოდ პეტერბურგის ზოგიერთ ქართველ სტუდენტების შესახებ მინდა გსთქვა ორიოდე სიტყვა. პეტერბურგში არის თურმე ერთი ჯგუფი ქართველ სტუდენტებისა, რომელიც უფრო მეშჩერსკისტია, ვიდრე თვითონ ბრწყინვალე მეშჩერსკი, რომელიც „მოსკოვს. ვედ.“-ებს უფრო ჭკუთხუცობს, ვიდრე „რუს. ვედ.“-ებს, რომელიც პატივსა სცემს უფრო „ოპრიჩნიკებს“, ვიდრე თავისუფალ ადამიანს...

ამ ჯგუფისთვის არ არსებობს არავითარი სერიოზული საქმე, საზოგადოდ საქმიანობა. მას უყვარს მხიარული ცხოვრება, დროს გატარება, არაფერი არ აწუხებს მას, არაფერის დარდი არ აქვს. ვინ იცის შეიძლება, ამ ჯგუფს „ქართველ პატრიოტებადაც“ კი გამოჰყავს თავი, „საქართველო გვიყვარსო“, ამბობენ მისი წევრები და ამ „საქართველოს“ დაცვისათვის იქცევიან მეტად ახირებულად (მეტი რომ არა ვსთქვათ ამ ჟამად)! ეს ჯგუფი არ ცხოვრობს დღეს ერთად მთელ მოწინავე რუსეთთან. მას სხვა ინტერესები აქვს...

ამ ჯგუფის შესახებ მოგვითხრობენ, რომ მან გამართა პეტერბურგში ქართული საღამო „ისეთ პირობებში, რომლებშიაც არ ისურვა გამართვა საღამოსი სტუდენტების არც ერთმა წრემ, არც რუსებისამ, არც სხვა ტომისამო“...

ვინ არიან ამ ჯგუფის წევრები?... მაგრამ წერტილები დავსვათ აქ, სათქმელი ვსთქვათ მაშინ, როდესაც გამოაშკარავდება ყველაფერი. ახლა ესეც ვიკმაროთ, რომ არ დავივიწყოთ ჩვენი ქვეყნის რაინდები.

სიტყვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტვრევა. გაზეთ „სვეტ“-ს სულ უბრალო რეცეპტი გამოუგონია ამ დიდის ხნის იარის მოსარჩენად: საჭირო არისო,

> რომ ქვეყნის მცხოვრებნი რაც შეიძლება მეტ მესაკუთრეთაგან შესდგებოდეს თუნდ წვრილ მესაკუთრეთაგან, როგორც გლეხებია.

საკვირველია, რატომ ცხოვრება აქამდე არ მისდევს „სვეტ“-ის რეცეპტს—წვრილი მესაკუთრენი ბოგანოვდებიან იმის მაგიერ, რომ ბოგანო საკუთრებას იძენდეს.

* * *

სლოვო-გლაგოლი „პეტერბურგსკია ვედომოსტი“-ში რუსეთის ხალხის ცხოვრების შევიწროებასა და სიმახინჯეზე ლაპარაკობს და, სხვათა შორის, შემდეგი ანალოგია მოჰყავს:

> თითქოს ჩინელ ქალის ფეხი იყოს! რომ არ გაეზარდოს ფეხი ჩინელ ქალს, განზრახ ამახინჯებენ (მეტად ვიწრო კალაპოტში ჩასმენ ხოლმე). მაგრამ ცხადზე უცხადესია, რომ, თუ კალაპოტში არ ჩასჭედენ, ფეხი განვითარდება და ნორმალურად გაიზრდება.

სულ უბრალო, ელემენტარული ჭეშმარიტებაა, მაგრამ საქმეც ის არის, რომ განზრახ არ სურთ მისი შეგნება ვიწრო კალაპოტის მოტრფიალეთ.

* * *

სულ პატარა, მაგრამ მეკალაპოტეთა დამახასიათებელი ფაქტი მოჰყავს „პეტ. ვედ“-ს:

> ქ. სარატოვში სააქციზო ზედამხედველის ერთი თანაშემწეთაგანი მეტად სასტიკი ვაჟბატონია: როცა, მაგალითად, სახაზინო არყის დუქნებს ათვალიერებდა, გამყიდველ ქალების ტანისამოსის გამო აღშფოთებული იყო ხოლმე, რატომ კაბის ზედა-ტანი და ქვედა ტანი ერთის მატერიისაგან არ არისო, რატომ ფერად მატერიებიდან იკერავთ კაბებსო და სხვა; ბოლოს ბრძანება გამოსცა—ფერადი არაფერი ჩაიცვათ, თბილი ფეხსაცმელი ნუ გაცვიათ, მუშაობის დროს თავ-საფარს ნუ იკეთებთ, რადგან უფროსს მზარეულ ქალს აგონებთო!!!

მუნდირი, კალაპოტია მთელი ფილოსოფია რეაქციონერებისა და მათ აგენტებისა.

რუსეთის ქრონიკა

◆ შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ მოკლე ხანში შეუდგება განხილვას საკითხისას ადმინისტრატიულის წესით გადასახლების შესახებ. განზრახვა აქვთ შესცვალონ ამ ჟამად არსებული წესები. საკითხის განხილვაში იუსტიციის სამინისტრო იღებს მონაწილეობას.

◆ ფინანსთა სამინისტროს მიერ შედგენილ პროექტს რკინის გზაზე ბილეთების ფასის მომატების შესახებ განსაკუთრებულ საბჭოს წევრთა უმეტესმა რიცხვმა წინააღმდეგობა გამოუცხადა. ფინანსთა სამინისტრომ ხელ-ახლად შეიმუშავა თავისი პროექტი და 1-ს იანვარს წარუდგენს საბჭოს განსახილველად. ამავე დროისთვის კერძო რკინის გზები თავის მოსაზრებას წარმოადგენენ ამ საგნის შესახებ.

◆ პარიზში ძეგლს უდგამენ რუსეთის სახელგანთქმულ მწერალს ლ. ნ. ტოლსტოის და უკვე მიუმართავთ წინადადებით რუსეთის ცნობილ მექანდაკე თ-დ ტრუბეცკოისათვის, წარადგინოს თავისი პროექტები.

◆ საბაჟო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა საინტერესო ცნობები რუსეთიდან გატანილ და შემოტანილ საქონლის შესახებ. 1904 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდის, ესე იგი 9 თვის განმავლობაში რუსეთიდან გაუტანიათ 656,217 ათას მანეთის საქონელის, შარშანდელთან შედარებით 44,066 ათას მანეთით ნაკლები. ამავე დროს განმავლობაში შემოუტანიათ რუსეთში 438,201 ათას მანეთის საქონელი, შარშანდელთან შედარებით 43,424 ათას მანეთით ნაკლები.

◆ რუსეთის გაზეთები გვაუწყებენ, რომ ჩრდილოეთის ზღვაში მომხდარ შემთხვევის გამომძიებელ კომისიის რუსეთის მხრივ წევრად დანიშნული ადმირალი კაზნაკოვი პარიზს გაემგზავრა და საზღვარზე გააჩერეს ჟანდარმებმა, რადგან ადმირალს პასპორტი დაჰვიწყებოდა. ბევრი მეცადინეობა დასჭირდა ადმირალს, სანამ საზღვარზე გადასვლის ნება მისცესო.

◆ „რუსკ. ვედ.“-ის სიტყვით, პროვინციალურ პრესსის წარმომადგენლებმა საჭიროდ სცნეს მოწვეული იქმნას კრება რუსეთის პრესსის მოღვაწეთა და პეტერბურგის ჟურნალისტებს მიმართეს თხოვნით, ითავონ ამ საქმის მოწყობა.

◆ „ნიჟეგ. ლისტ“-ის სიტყვით, საერო განათლების სამინისტრომ მიმართა განკარგულებით სასწავლებლების უფროსებს, აუკრძალონ მოწაფეებს მათის მშობლების, ნათესავების ან ნაცნობების სახლში გამართულ ბალებსა და საცეკვაო სალამოებზე დასწრება.

◆ მოსკოვის ადმინისტრაციამ მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულება იმის შესახებ, რომ ყოველნაირი ღონისძიება მიიღოს შემდეგი სამწუხარო მოვლენის მოსასპობლად. მინისტრს შეუტყვია, რომ პოლიციის მოხელეები, განსაკუთრებით კი საიდუმლო პოლიციის აგენტები, საქმეს რომ შეუსრულებენ მთხოვნელებს, მათგან საჩუქრებს ღებულობენო. მაგალითად, დაკარგულ ნივთების მონახვა საიდუმლო აგენტების პირდაპირი მოვალეობაა და მათგან საჩუქრების მიღება უკანონობა და მოვალეობის უარყოფააო.

◆ „რუს. სლ.“ იუწყება, რომ პოლონეთში ამ ჟამად ჯარის მობილიზაციაა და ადგილობრივი მთავრობის მოხელეები ბჭობენ იმის შესახებ, როგორ აიცდინონ თავიდან მობილიზაციის დროს მოსალოდნელი უწესობა. სხვათა შორის, დაუდგენიათ, სათადარიგო ჯარის კაცნი დახურულ სადგომებში დააყენონ და რკინის გზის სადგურებზე სამხედრო რაზმები იყოლიონ უწესოების ჩასაქრობად.

◆ ტვერიდან აცნობებენ „ნოვ. ვრ.“-ს, რომ ტვერის საერობო სასტატისტიკო ბიუროს გამგედ დაუნიშნავთ ვიღაც გულდმანი, პოდოლსკის გუბერნატორის მიერ სამსახურიდან დათხოვნილი პოლიციის მოხელე. ამ გარემოებას მითქმა-მოთქმა გამოუწვევია ქალაქში.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს დადგენილებით, პოლიციას ნება არა აქვს ჩარიცხოს როსკიპ ქალთა სიაში ის ქალები, რომელნიც ამაზე თანხმობას არ გამოაცხადებენ. თუ რომელსამე ქალს იდუმალ როსკიპობას დასწამებენ, მხოლოდ სასამართლოში უნდა მისცენო.

◆ მოსკოვის სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა თანამდებობას თავი დაანება იმის გამო, რომ საბჭოს წევრებმა მოსთხოვეს კრებაზე საზოგადო საკითხების განხილვა.

◆ უმაღლესის ნებართვით, შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება მისცა ტვერის საგუბერნიო და ნოვეტორჟსკის სამაზრო საერობო კრებებს აირჩიონ გამგეობის თავმჯდომარენი და წევრები, რომელთაც დღემდის მთავრობა ნიშნავდა.

◆ რუსეთის ზოგიერთ სოფლებმა შუამდგომლობით მიმართეს ფინანსთა სამინისტროს ადგილობრივ სახაზინო არყის სავაჭრო დუქნების დახურვის შესახებ. „რუს“-ის სიტყით, სამინისტრომ უარჰყო გლეხების თხოვნა.

◆ „ნოვ.“-ის სიტყვით, საერო განათლების სამინისტრო შეუდგა საკითხის განხილვას მოსკოვში ქალთა უმაღლეს სამკურნალო კურსების გახსნის შესახებ.

◆ იაროსლავის საჯარო წიგნთსაცავის გამგეებს დაუდგენიათ, იშუამდგომლონ, რათა ნება დართონ იქონიონ წიგნთსაცავში ცენზურისაგან ყველა ნება-დართული წიგნები. კრებაზე დაუდგენიათ აგრეთვე, იშუამდგომლონ, რათა მოსპობილ იქმნას 1890 წელს შემოღებული შემავიწროვებელი წესები და წიგნთ-საცავ-სამკითხველოები მთავრობის ნება-დაურთველად იხსნებოდეს. შემდეგ აღძრეს საზოგადო ხასიათის საკითხები, რის გამო თავმჯდომარემ დახურა კრება.

◆ საერო განათლების სამინისტროს განუზრახავს გახსნას ქალთა უმაღლეს კურსებზე იურიდიული განყოფილებანი ან დააარსოს განსაკუთრებული იურიდიული კურსები ქალთათვის.

◆ ტვერის გუბერნიის ვესიეგონის მაზრის საერობო კრებაზე შემდეგი დაუდგენიათ: 1) სასამართლოს და არა ადმინისტრაციის მიენიჭოს უფლება გამოიკვლიოს ამა თუ იმ კაცის არა-კეთილსაიმედობა საზოგადო სამსახურისათვის; 2) მიენიჭოს ერობას ვრცელი უფლება მოიწვიოს კრებები და შეადგინოს სხვა-და-სხვა საბჭოები; 3) მოსპობილ იქმნას საერობო საქმეებში ადმინისტრაციის მზრუნველობა და სხვა-და-სხვა წოდებათ ერთნაირი უფლება მიენიჭოს მონაწილეობა მიიღონ საერობო საქმეში.

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

17 დეკემბერი

ვენა, 17 დეკემბერი. ახალი წლის შემდეგ მიდიან ბერლინს ავსტრიის დელეგატები ავსტრო-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულობის დასადებად.

სტამბოლი, 17 დეკემბერი. დიდი სახელმწიფოების მთავრობებთან მყოფ ბოლგარიის წარმომადგენლებს ნოტა გაუგზავნეს და გაალუღეს აღწერა იმ ძალადობისა, რომელიც იხმარეს ადრიანოპოლის ვილაეტის ბოლგართა წინააღმდეგ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში. ზოგიერთმა აქაურმა ელჩმა მიაქცია პორტას ყურადღება ამ გარემოებას.

კიევი, 17 დეკემბერი. ოლქის სასამართლო შეუდგა საქმის განხილვას ყაზადის რივუშის შესახებ, რომელსაც ბრალდება ღებედევის მოკვლა, კაპიტანის ვერხოვსკისა და ექიმის ტოროგანევსკის მოკვლის განზრახვა. ამას გარდა 19 სხვა საქმეა მკვლელობის და ძარცვის შესახებ. ბრალდებული, 32 წლის კაცი, განათლებულ ოჯახის შვილია და სემინარიაში ნასწავლი.

ბერნი, 17 დეკემბერი. გუშინ ბუხარესტში რუმინიისა და შვეიცარიის შუა დადებულ სავაჭრო ხელშეკრულობას ხელი მოაწერეს.

სტამბოლი, 16 დეკემბერი. მაკედონიაში უწესობის მოსასპობად შემოღებულ განსაკუთრებულ ღონისძიებათა გამო იუწყებიან, რომ ყველა იმ ადგილებში, სადაც მეამბოხეთა რაზმები მოქმედებენ, ჯარის რაზმებსა და დარაჯებს ჩააყენებენო. მთავარ სარდლად მარშალი ხაირი-ფაშა დანიშნეს და არა ნასირ-ფაშა, რომელსაც უმთავრესი ინსპექცია მიანდეს.

პარიზი, 17 დეკემბერი. მინისტრთა საბჭოს დღევანდელ სხდომაზე, დელკასემ სთქვა, რომ სიამი ხელ-შეკრულობის თანახმად დათმობილ ადგილს გადასცემს საფრანგეთსაო.—„ჰავასის სააგენტოს“ შეუტყვია, რომ ის ცნობა, ვითომ მაროკოს ნაპირებისაკენ გემების გაგზავნას აპირობდნენ, არაფერზე არაა დაფუძნებულიო.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 17 დეკემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში.	37,30
ლონდონისაზე ჩეკები.	94,45
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	—
ბირჟის დისკონტი	$6{,}7^{1}/_{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	$91^{1}/_{5}$
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
$4^{1}/_{2}$% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	$89^{3}/_{4}$
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	424
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	318
5% გირ. ფომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	$265^{1}/_{4}$
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	$83^{3}/_{8}$
$4^{1}/_{2}$% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
$4^{1}/_{2}$% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	226

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში,
   ღია არის დილით 10—2 საათ
   „ „ სალამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ სალამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ სალამ. 5—8 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 **ოქტომბრიდან**.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) სალამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 სალამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 სალამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 სალამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 სალამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 სალამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ჟდიგაროვისი. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის სავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯორის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ი. ს. ანანოვის მემკვიდრეთა
აჯამეთის მამულში ისყიდება:

1) დარჩენილი ნამყენი ადგილობრივის და ევროპიულის ჯიშისა,

2) ამერიკულ ვაზის ლერწი სხვა-და-სხვა ჯიშისა: Rupestris mont., Riparia gl. და Ripariax Rupestris101 14.

3) ფესვიანი ნერგები ამერიკულ ჯიშის ვაზებისა.

ადრესი: Ст. Аджаметы З. К. Ж. Д. Управляющему имѣніемъ А. М. Татевосяну. (15—10)

დაიბეჭდა და იყიდება

კალენდარი „ცოდნა“

◆ თითო ღირს ორ შაურათ ◆

ვინც ერთბაშად ასზე მეტს იყიდის, დაეთმობა ექვს-ექვს კაპეიკათ.

შოთა რუსთაველის

დიდი სურათი

დაიბეჭდა ფოტოტიპიით სუფთად ბრისტოლის მთელს თაბახზე

◆ ღირს ათ შაურათ ◆

ვინც ათს ერთბაშად ნაღდზე იყიდის, დაეთმობა ორ-ორ აბაზათ და ვინც ოცზე მეტს—35 კაპ.

ფოსტით მისამართი: Тифлисъ Книжн. магазинъ „Цодна“.

სოსიკო მერკვილაძე. (12—5)

ტფილისში ტანისამოსის მკერავი

ი. ნ. სვანიძე.

მიღებულია მდგომარე სეზონისათვის დიდ-ძალი მატერიები რუსული და საზღვარ-გარეთული ტანისამოსის შესაკერად ერის კაცთა, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთათვის და ყველა სასწავლებლის მოსწავლეთათვის. შეკვეთილი საქმე **მსწრაფლ, კარგათ** და **დროზე** მზადდება. **ფასები ძალიან ზომიერია.** ლორის-მელიქოვის ქ. სახლი ზუბალოვისა, მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის პირდაპირ. (30—8)

ხეხილიანი ვენახი

ამიერ-კავკ. რკ. გზის სოღანლუღის სადგურის მახლობლად იძლევა იჯარით შეღავათიანის პირობებით. ჰკითხეთ კუკიაში, ალექსანდრეს ქუჩაზე სახ. № 7 და 9 მეეზოვეს ნიკოლოზს. (2—1)



СѢДЕЛЬН СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრნიეს ახლოს. (წ.—176—93)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქ., № 27, ტელეფ. 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

გენერალნოე ობშჩესტვო

(Генеральное общество)

სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა

აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანეთისა (3.000.000) ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევთ საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და აგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11) საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათს სავადო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისშია, გოლოვინის პრ. ოქროევის სახლი, ტელეფონი № 429.

აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—54)

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები. მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება კალენდრები—ჯიბისა 10 კ. კედლისა 40 კ. ერთბაშად ბევრის მყიდველებს ფას დაკლებით.

ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОНДНА“.

(50—45). წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე.**

Доз. цен. Тифлисъ, 18 декабря 1904 г.

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ა.